საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/6 " 23 " იანვარი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 1950 ლარი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 1900 ლარი;

გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 1800 ლარი;

დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 1700 ლარი;

ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 2150 ლარი;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 2050 ლარი;

თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;

კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;

ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;

მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 1550 ლარი;

ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 1350 ლარი.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს დაუწესდეს ყოველთვიური დანამატი 1200 ლარის ოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ამ განკარგულების პირველი პუნქტით, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს - ამ განკარგულების მე-2 პუნქტით დადგენილი დანამატების გაცემის უზრუნველყოფა.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილება.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი